პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1976 კვირა 26 სექტემბერი № 227 (16657) ფასი 2 კაპ. 1976

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მოწვეულ იქნას 1976 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1976 წლის 24 სექტემბერი.

ხელოვნის მოწოდება

„ომუნისტური მშენებლობის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლის კვალობაზე იზრდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში... რაც უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ხელოვანს საბჭოთა ხალხის მთელ მრავალფეროვან ცხოვრებასთან, მით უფრო უტაუარია მისი შემოქმედებითი მიღწევებისა და წარმატებების გზა, — ასე განსაზღვრავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მწერლის, საერთოდ, ხელოვნის, მოწოდება-მოვალეობას ამ გზაზე აქტიურ დამოკიდებულებას მშობლიური ხალხის ცხოვრებასა და შრომა-საქმიანობასთან, ქვეყნის სიავ-სიკეთესთან. ნამდვილ მწერლობას, მის ვეშარიტ წარმომადგენლებს ხელოვნის ცხოვრებასთან კავშირი აუცილებელ საფუძვლად მიიჩნევთ და არასოდეს არ აკმაყოფილებდათ, „მარტო ტკბილ ხმათათვის“ მოვლენილი ხელოვანი. მით უფრო უნაყოფო და არაფრის მთქმელია იგი ამჟამად, ჩვენს დროში. დღეს ხელოვანი ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის აქტიური მებრძოლი უნდა იყოს, მოვლენების შეაგულში უნდა ტრიალებდეს. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამახსენებელ მესამე პლენუმზე ერთხელ კიდევ გაიხსენეს ცნობილი ვეშმარიტება: ხელოვანს არ შეუძლია, უბრალოდ უფლება არა აქვს, გაზზე გაუდგეს მწავავ ცხოვრებისეულ პრობლემებს.

ხელოვნის სიტყვა! მწერალი მხატვრული სიტყვით ლაპარაკობს, მხატვარი — ფერთა ჰარმონიით, კომპოზიტორი — მელოდიით. თეატრსა და კინოში ამ კომპონენტთა შერწყმა-შეხამებას პლასტიკაც ემატება. თვითეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად არის სიტყვა ხელოვნისა, სიტყვა, რომელსაც ადამიანთა სულსა და გონებაზე უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს. ავკაცის ხელით ფიზიკურად დანგრეულს ადვილად ალადგენ და ალაშენებ, მაგრამ ხელოვნის მოუფიქრებელი, გაუზომელ-აუწონელი, სინამდვილის დამამახინჯებელი სიტყვით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას და გაუვნებლობას ხანგრძლივი დრო სჭირდება.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ დაინტერესებას და ზრუნვას იჩენენ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. უკვე ნათელია ის ნაყოფიერი შედეგებიც, რომლებიც ამ თანმიმდევრულმა ზრუნვამ და ყურადღებამ მოიტანა: ბოლო დროს განუზომლად გაიზარდა შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტივობა და ჩვენი დღეების მწერლობა და ხელოვნება უფრო მკვიდრად დადგა პარტიულ, მოქალაქეობრივ პოზიციებზე.

ეს ვითარება არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და იგი კიდევაც აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ცნობილ დადგენილებაში „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. იქ კერძოდ ნათქვამია:

„იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში საბრძოლველად გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, შემოქმედებითი კავშირების, კულტურის და ხელოვნების დაწესებულებების როლი. საქართველოს სსრ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინოს მუშაკებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. გოლო წლების მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჭიერი ნაწარმოებები, რომლებშიც პარტიული პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც უმღერიან შრომითი წარმატებების ჰეროიკასა და პათოსს, მშრომელი ადამიანების აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და მაღალ ზნეობრივ თვისებებს“.

ეს სიტყვები საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის, ჩვენი კულტურის ფრონტის მოღვაწეთა მუშაობის დიდი შეფასებაა. მაგრამ უპირველესად იგი დიდი მოვალეობაც არის, უფრო სწორად დიდ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას აკისრებს ყველას, ვისაც თავისი უპირველესი „მოწოდება — ხელოვნის მართალი სიტყვით ხალხისათვის, ქვეყნისათვის სამსახური გულის ფიცარზე დაუწერია.

იწურება მეათე ხუთწლედის მეცხრე თვე. წინ დიდი გზაა გასავლელი და დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული. პარტიის მოწოდებას, რომ მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედად გადავაქციოთ, ხორცი უნდა შეესხას ჩვენი მოღვაწეობის ყველა სფეროში — სახალხო მეურნეობა იქნება ეს, თუ კულტურა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივებზე არაერთგზის ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული დიდი ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელია მტკიცე იდეოლოგიური საფუძველი. იდეოლოგიური უზრუნველყოფა. აქ დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების როლი და მნიშვნელობა.

კარგ, მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად, ცხადია, ზოგჯერ შედარებით სუსტ ნაწარმოებსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თემის აქტუალობა მაღალმხატვრულობის თვალსაზრისით არავითარი შეღავათის უფლებას არ გვაძლევს. არ უნდა შევიწყაროთ აშკარა ხელტყა, უღიმღამო, უფერული ნაწარმოებები, რომლებიც არც სულს არაფერს ეუბნებიან და არც გულს. ამას მაშინ მივაღწევთ, როცა ამაღლდება ხელოვნების მომთხოვნელობა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი შემოქმედებისადმი, როცა შემოქმედებითს კავშირებში, ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებებში ნაკლოვანებებისადმი, უიდეობისა და წვრილმანთემიანობისადმი, აშკარა ხალტურისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო იქნება გამეფებული. აქ მთელი მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, ისეთი გზით უნდა წარიმართოს, რომ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მთელი ენერგია, შთაგონება, გზნება და უურადღება მიმართული იყოს თანამედროვეობის, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე აქტუალური თემების მაღალმხატვრული ხორცშესხმისადმი, რათა მეათე ხუთწლედის ხარაჩოებზე მშრომელი ადამიანი მწერლობისა და ხელოვნების მთავარი გმირი გახდეს.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თანამედროვეობის, კომუნისტური პარტიისა და ჩვენი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ დგომა, ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანებისათვის ბრძოლა უნდა გამოჩნდეს არა მხოლოდ დაპირებით, არამედ კონკრეტული საქმით — რომანითა და მოთხრობით, ლექსითა და პოემით, კინოფილმითა და სპექტაკლით, ფერწერული ტილოთი და მუსიკით. სწორედ ეს იქნება ხუთწლედის მხარდამხარ დგომა და საკუთარი წვლილი მის უთუო განხორციელებაში.

ამოცანები დიდი და მნიშვნელოვანია. ჩვენმა მწერლობამ და ხელოვნებამ მათი სრულყოფილი განხორციელება რომ შეძლონ, მას მხარში უნდა ედგას კრიტიკა. ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნის იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებას და მისი ოსტატობის ზრდადახვეწას, იყოს მისი გზის მაჩვენებელი და მრჩეველი.

შემოქმედის წინაშე არსად და არასოდეს არ მდგარა ეხოდენ მასშტაბური და კეთილშობილური ამოცანები, როგორსაც მას საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი ხალხი და კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები უსახავენ. ამ დიდი ამოცანების შესრულების ძალა ნამდვილად შესწევს საბჭოთა მრავალეროვნულ მწერლობასა და ხელოვნებას, კერძოდ, მის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს — ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

26 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

ოსტატის მარჯვე ხელით

თორმეტი წლის წინათ ჭაბუკი მოვიდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ავთანდილ კოპალეიშვილი და მოკლე ხანში მბურღავის რთულ პროფესიას დაეუფლა. ამ ხნის მანძილზე იგი არა თუ გადაჭარბებით ასრულებდა პირად დავალებებს, არამედ ჩამორჩენილებსაც ეხმარებოდა.

მალე ვ. კოპალეიშვილი აქტიურად ჩაება რაციონალიზატორულ მუშაობაში და დღეს უკვე 14 დანერგული რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. ამ წინადადებების მეოხებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

— ჩარხმშენებლის პროფესია რთულია, — ამბობს ნოვატორი მუშა — მაგრამ თუ მას ერთხელ შეიყვარებ, მერე სამუდამოდ მისი ერთგული დარჩები. დღეს ჩემი კოლექტივის გარეშე ცხოვრებას და მუშაობას ალბათ ვეღარ შევძლებდი...

უყვარს ავთანდილ კოპალეიშვილს თავისი პროფესია და მშობლიური საწარმო. ამიტომაც არის, რომ ყოველ ცვლაში თავდადებით შრომობს. მან ერთ-ერთმა დაუჭირა მხარი რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას — „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით“ და თავის კოლეგებს მოუწოდა გაშალონ შეჯიბრება დევიზით — „ხარისხს ხუთწლედს — მუშური გარანტია“.

თანამედროვე ჩარხსაშენებელი საწარმოს მუშას დღევანდელობა დიდ მოთხოვნას უყენებს, იგი ხელმძღვანელ ოსტატი უნდა იყოს, თავის საქმეს პრაქტიკულად სრულყოფილად ფლობდეს და თეორიული კვალიფიკაციაც მაღალი უნდა ჰქონდეს!

მართალია, ავთანდილ კოპალეიშვილს ჩარხების დეტალების დამზადების დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, მაგრამ თვითდამშვიდებას არასადროს მისცემია. ყოველი დეტალის ნახაზს მაინც „ოველთვის თეორიულად ამოწმებს და ამ შემოწმების დროს ბევრი შესწორებაც შეუტანია.

— ავთანდილ კოპალეიშვილს დეტალების დამუშავების ახალი მეთოდები არ გამოუგონია, — ამბობს მისი კოლეგა ნოვატორი შიგმჩარხავი იაგო ყიფიანი, — მაგრამ დასამუშავებლად დეტალის მზადადების (ნახაზთან შედარება, ნაჭედი დეტალის შერჩევა და სხვა) ოპერაცია მან სავალდებულოდ აქცია და ამით საგრძნობლად გაუმჯობესდა დეტალების დამუშავების ხარისხი...

დღეს მანქანათმშენებლის დღეა. ავთანდილ კოპალეიშვილი და მისი კოლეგები წარმატებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს. ბევრი მათგანი დროს უსწრებს, უკვე ნოემბრის ანგარიშში შრომობს. თვითონ ნოვატორი ხარატის კალენდარზე კი სამეურნეო წელიწადი იწყება, მას ნაკისრი აქვს ვალდებულება — წლიური დავალება ათ თვეში შეასრულოს.

არცერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით, რაც შეიძლება მეტი წვლილი შევეტანოთ საქართველოს მრეწველობის მშრომელთა პატრიოტულ ვალდებულებაში, რომელიც 170 მილიონი ზეკვგმითი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს, — ამ დევიზით შრომობენ თბილისელი ჩარხმშენებლები, რომელთა კოლექტივის ერთ-ერთი სიამტერი წევრია მბურღავი ავთანდილ კოპალეიშვილი.

რ. რამიშვილი.

* * *

სურათზე: თბილისის კიროვის ჩარხსაშენებელი ქარხნის მბურღავი ა. კოპალეიშვილი (მარცხნივ) და შიგმჩარხავი ი. ყიფიანი არჩევენ დეტალის ნახაზს.

ა. საკოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ბრინჯაოს ბიუსტი გმირის სამშობლოში

კოლტავა, 25 სექტემბერი. (საკადსი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად პოლტავის ოლქის ქალაქ კარლოვკაში — ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის სამშობლოში დღეს საზეიმო ვითარებაში გახსნეს გმირის ბრინჯაოს ბიუსტი.

ამ მოკლეენსადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის კარლოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ი. სლიჩენკომ. მიტინგზე იყვნენ პარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ტ. მორგუნი, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები. სიტყვები წარმოთქვეს საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ი. პუდენკომ, პარტიის ვეტერანმა ტ. ფ. ბლუენკმა, ავეჯის ფაბრიკის მუშამ, საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ნ. დ. ხომენკომ, კოლმეურნეობა „ბოლშევიკცა პრაცის“ თავმჯდომარემ ნ. კ. მორუროვა, კარლოვკის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. მ. პეტრენკომ და სხვებმა.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1976 წლის 26 სექტემბერი № 197 ქ. მოსკოვი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან 1976 წლის ნოემბერ-დეკემბერში იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაიარეს სამსახურის დადგენილი ვადა, და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დათხოვნილ იქნან თადარიგში საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან 1976 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა გაუდით 1977 წლის 1 იანვრამდე.

2. თადარიგში სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭოთა არმიის, საზღვაო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი-ჯარების რიგებში ნამდვილი სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნან მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის ესრულებათ 18 წელი, არა აქვთ გაწვევის ვადის გაგრძელების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვადათ გაწვევის გადავადების დრო.

3. ეს ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი

დ. უსტინოვი.

მეტი და მაღალხარისხიანი ყურძენი — სამშობლოს!

ქრეფენ რქაწითელს, საფერავს...

იქნება 7.000 ტონა ყურძენი, — ასეთია ჩუმლაყელთა პირობა

ბარაქიანია სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის ზვრები. ახლა ჩუმლაყში შინ ვერაფის ნახავთ, ყველა ვენახშია. ზვრებში ყოველდღიურად ათასამდე მარჯვენა ტრიალებს და ღვინის ქარხნებში დღეში 600 ტონა ყურძენი იგზავნება.

კოლმეურნეობამ წლეულს სახელმწიფოს 5.280 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდოს, უკვე მიყიდულია 4.600 ტონაზე მეტი.

— 7.000 ტონამდე ყურძენი მაინც მოიკრიფება ამ დალოცვილ ზვრებში, — სიხარულით ამბობენ კოლმეურნეები. მართლაც, ვისაც ჩუმლაყის კოლმეურნეობის მსხმოიარე ვენახები უნახავს, ამ ციფრს გაზვიადებულად არ მიიჩნევს. ვ. ნაცვლიშვილის, კ. კუპრაშვილის, ი. ოსოშვილის, ი. კუტბაშვილის, გ. ენგიბეგლის ბრიგადებში ჰექტარზე 120-140 ცენტნერი ყურძენი იკრიფება.

მკრეფავთა შორის დაწინაურდნენ ლიდა, ნათელა, ციალა, მაყვალა რუაძეები, ნუცა ქართველიშვილი, ნათელა ხაზალაშვილი. ისინი დღეში 900-1.000 კილოგრამამდე ყურძენს კრეფენ.

რთველი ორგანიზებულად მიმდინარეობს ბურჯაანისა და შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე რაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ღვინის ქარხნები რთველს მომზადებული შეხვდნენ. გურჯაანის ღვინის ქარხანამ უკვე 6 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიიღო, ხოლო მუკუზნის № 2 ღვინის ქარხანამ 3 ათას ტონამდე.

რთველი გრძელდება.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

□ □

100.000 ტონა კარტოფილი — სასელმწიფოს!

ახალქალაქელები გვპირდებიან

ახალქალაქის რაიონში მალე დაიწყება კარტოფილის აღება. ამასთან დაკავშირებით პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. მოსესიანმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში** განაცხადა:

ახალქალაქის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც ამ ბოლო დროს სახელი გაითქვეს კარტოფილის უხვი მოსავლით, მდიდარი გამოცდილება შეიძინეს ამ საქმეში.

კარტოფილის უხვი მოსავლისათვის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახლა სულ უფრო ეფექტიანად იყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერთა მიღწევებს, კომპლექსურ მექანიზაციას, მცირე მელიორაციას, ორგანულ და მინერალურ სასუქებსა და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ წლეულს კომპლექსური მექანიზაციით დაეთესეთ და დავამუშავეთ მთელი ნთესავი ფართობის ნახევარზე მეტი — 1800 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1500 ჰექტარისა. ავადგეთ 22 ახალი წყალსაცავი, რითაც დამატებით გავასარწყავეთ 1000 ჰექტარი ნთესენი. მწყობრში ჩაედგა აგრეთვე ზარესის საინჟინერო-სამელიორაციო ნაგებობა, რომელმაც გასაარწყავა დალოსის კოლმეურნეობის, ოკამისა და ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობების 1800 ჰექტარი სახნავი მიწა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის ნათესებში შეიტანეს 5.000 ტონა მინერალური და 60.000 ტონა ორგანული სასუქი. აგროვადებში და მაღალხარისხოვნად დაითესა კარტოფილი და დამუშავდა ნათესები, ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა კარტოფილის უხვი მოსავლის მისაღებად. მალე დაივწყებთ მოსავლის აღებასაც.

ახლა მთავარია ორგანიზებულად, დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ კარტოფილის მოსავალი. ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც ითქვა, რომ ახალქალაქელ მეკარტოფილეთა წლევანდელ შრომასა და გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. მოსავალს კარგი პირი უჭირს. სპეციალური მოსა შემჭიდროებულ ვადებში აღება.

ალმა-ათის პარტიულ სამეურნეო აქტივის კრებაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული ხიტყვით აღფრთოვანებულმა დილესკის, ღადოლარის, ბურნაშეთის, ორჯის, ხანდოს კოლმეურნეობების, ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა მეკარტოფილეებმა ახალი, გაზრდილი ვალდებულებები აიღეს და თქვეს, რომ ყოველმხრივ მზად არიან მოსავლის ასაღებად. მათი ეს მზადყოფნა ამას წინათ მოწყობილმა კარტოფილასაღები ტექნიკისა და კარტოფილსაცავების დათვალიერებამაც დაადასტურა.

კარტიკამის საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილეთა ინიციატივით რაიონის მეკარტოფილეებმა გადაწყვიტეს 1 ოქტომბრისათვის დაიწყონ და 20 სამუშაო დღეში დაამთავრონ მოსავლის აღება.

კარტოფილი წელს ასაღები გვაქვს 3000 ჰექტარზე. რაიონის მეკარტოფილეთა ვალდებულებაა ნაცვლად გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 23.000 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდონ 24.000 ტონა კარტოფილი, ე. ი. 1.000 ტონით მეტი. ამასთან მომავალი წლისათვის მოიმარაგონ მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა. ყველა პირობები გვაქვს ამისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეგასრულოთ.

25 სექტემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

გუშინდელი ნომრის მოწინავე წერილი ეძღვნება ახალ თეატრალურ სეზონს.

სცენური ხელოვნების მოყვარულთათვის, წერს გაზეთი, დადგა სასიხარულო მღელვარების დრო — ახალი აფიშები გვაცნობენ პირველ პრემიერებს წლევანდელ სეზონში.

იწყებენ რა ახალ სეზონს, ხაბეჭოთა თეატრის მუშაკებს აქვთ საიმედო კომპასი — სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მაღალი შეფასება, რომელიც თავის მოხსენებაში მისცა მხატვრული ინტელიგენციის შრომას, კომუნისტური მშენებლობის საქმეში მის წვლილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ფრთას ასხამს სცენის ოსტატებს, ულვივებს სურვილს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

დაწყებული სეზონი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — დიდი ოქტომბრის მეოთხე წლისთავისათვის. ჩვენი ქვეყნის თეატრების მომზადების გზაზე. ამ სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად მომავალი თვის დამდეგიდან გაიმართება სსრ „ავშირის ხალხთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალი.

თეატრების პარტიული ორგანიზაციებისათვის, — ნათქვამია მოწინავის დასასრულს, — **ახალი სეზონის გახსნა ემთხვევა ზრუნვას კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით მათ უნდა განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა წრეებისა და ხემინარებმა საქმიანობის დონე შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს, რათა თვითეული შემოქმედებითი მუშაკი წარმატებით ეუფლებოდეს სკკპ XXV ყრილობის იდეურ-თეორიულ სიმდიდრეს, რათა მიღებული ცოდნა მოქმედების სახელმძღვანელო გახდეს.**

ჟურსკის მოძრავი აგრეგატების ქარხნის მოარავი **ლ. სტეპანოვი** წერილში **„დევნია პრინციპულობა“** (21 ივნისის „პრავდა“) შეეხო დიდმნიშვნელოვან პრობლემას: რამდენად უშლის ხელს კოლექტივების მიერ ნაკისარ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას უწყვრიობა და კუთხურობა, ეგემების ჯორეტირება, ზოგჯერ დაუსაბუთებელი კორეტირება, და მაკომპლექტებელი ნაკლოვანებების მიწოდების ვადების დარღვევა. ეს პრობლემა არა მარტო სამეურნეო, არამედ აგრეთვე ზნეობრივი პრობლემაა.

როგორ ჩავუნერგოთ ადამიანებს ნამდვილად სახელმწიფოებრივი მიდგომა საწარმოო ამოცანათა გადაწყვეტისადმი, მისწრაფება — ბრძოლონ უპრინციპობის გამოვლინებათა წინააღმდეგ? როგორია ამ პარტიულ ორგანიზაციათა როლი? ამ თემაზე საუბრისათვის რედაქციამ მოიწვია მკითხველები. მუშის წერილს ბევრი გამოეხმაურა. გუშინდელ ნომერში რუბრიკით — „პარტიული ცხოვრება: წინა ხაზზე“ გამოქვეყნებულია ამ გამოხმაურებათა ნაწილი (**„სახელმწიფოს ინტერესებისათვის“**).

თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების სრულიად საკავშირო ფესტივალს ეხება რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ვ. კორეშასოვის** წერილი **„ტალანტების წყაროები“.**

რუბრიკა — **ევროპა ჰელსინკის შემდეგ“** წარმოდგენილია **ვ. ვიქტოროვის** სტატიით — **„ვენის მოლაპარაკება: დროა საქმეზე გადავიდეთ“.**

გაზეთის ფურცლებზე კვლავ უხვად ნახავთ საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაციას.

ПРАВДА

ოფიციალური ვიზიტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი აგოსტინიო নეტო მომდინარე წლის ოქტომბრის დამდეგს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა საბჭოთა კავშირში. როგორც პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაური. (საკადსი).

დედაქალაქი დაამშვენა

„დინამოს“ სტადიონის ახალი სიცოცხლე

დიდი სიხარული აქვთ დღეს საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს. კარს აღებს შესანიშნავი სპორტული ნაგებობა თბილისის „დინამოს“ განახლებული სტადიონი.

სურათზე: სტადიონის მშენებელთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — ოპერატიული შტაბის უფროსი, „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის მმართველის მოადგილე გ. დოდელია, პროექტის ავტორები — მთავარი არქიტექტორი გ. ქურდიანი და მთავარი კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი, მედურგლეთა ბრიგადირი ს. კორტიაშვილი, დურგალი ა. ლალიევი, მებეტონე ნ. კარკუზაშვილი და უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ლ. კალატოზიშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

სამთო მეცხოველეობაზე ინტენსიური განვითარებისათვის

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა ახალი მძლავრი სტიმული მისცეს იმ მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს მთის რაიონების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. მთის რაიონებისათვის დიდი რაოდენობით გამოიყოფა ტექნიკა, მანქანები და მოწყობილობა, საშენი მასალები, სასუქები. უმჯობესდება სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება.

ხშირად ამ პრობლემებს — მთის რაიონების შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხებს, კერძოდ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ჯავის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანებს მიეძღვნა ამ რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

მომხსენებელმა პარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ჭოკოევმა, აქტივის კრებაზე გამოსულებმა—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ო. ვარძელაშვილმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. სანაკოევმა, თბილისის ზოოვეტინსტიტუტის დირექტორმა ბ. აგლაძემ, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ შ. ბერულაშვილმა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ რ. ანდღულაძემ, ერმანის სამთო სტაციონარის გამგემ ლ. უავრიშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ 2-3 წლის მანძილზე რესპუბლიკის მთის რაიონებში განსაკუთრებით აშკარად იგრძნობა პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კეთილნაყოფიერი გავლენა. მუშადება როგორც ყველა მთის რაიონის, ისე ჯავის რაიონის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხანგრძლივი, მეცნიერულად და მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით დასაბუთებული სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანია მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, უპირველეს ყოვლისა, მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა.

ჯავის რაიონის მეცხოველეებმა იკისრეს:

- ხუთწლედის დამლევს აწარმოონ ახლანდელზე ორჯერ მეტი ხორცი და რძე.
- 1980 წლისათვის ეყოლეგათ 10.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 18 ათასი სული ცხვარი.

როგორც მომხსენებელმა, ისე კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა გულახდილად ილაპარაკეს ჯავის რაიონში მეცხოველეობის ჩამორჩენის მდგომარეობაზე, მისი შემდგომი განვითარების გზებზე.

რაიონის ცხოვრების მაჯისცემა, — აღნიშნავედნენ ორატორები, — უნდა შეესაბამებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს, იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათაში წარმოთქმული სიტყვა შეიცავს.

უკანასკნელ წლებში რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და ბოსლებით უზრუნველყოფისათვის. შარშან და წლეულს რაიონში აშენდა 18 სასენაჟე ტრაშეა, საძროხე — 298 სულისათვის წონის საბჭოთა მეურნეობაში, 104 სულისათვის — ჯავის საბჭოთა მეურნეობაში. შენდება სახბორე 228 სულისათვის წონაში და ა. შ. ზოგი რამ გაკეთდა მდელოებისა და საძოვრების გასუფთავებულებად.

მაგრამ რაიონში მეცხოველეობის მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი არ შეესაბამება სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს. რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მთლიანად არ იყენებენ იმ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, რომლებიც მეცხოველეობის ფართო განვითარების პერსპექტივებს სახავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჯავის რაიონმა სახელმწიფოსაგან დიდი მატერიალური დახმარება მიიღო. რაიონის კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ 650 ათასი მანეთი მოკლე და გრძელვადიანი სესხი. მაგრამ ჯაველმა ამხანაგებმა აქედან სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს, არ იზრუნეს მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისათვის, მეცხოველეობის განვითარებისათვის. პირიქით, რაკიღა სახელმწიფოს ხარჯზე ხელი მოიობეს, საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. ამიტომაც თანდათან დაქვეითდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, ისინი კვლავ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და სახელმწიფო იძულებული გახდა შარშან კიდევ 1.214 ათასი მანეთი ჩამოეწერა. ეი სადამდე მიიყვანა საქმე უსულგულო ხელმძღვანელობამ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ წლების მანძილზე ჯავის რაიონში უზუმად ირღვეოდა შრომითი, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინა. არ იცავდნენ მატერიალური დაინტერესების პრინციპს, ფესვი გაიდგა კერძო მესაკუთრულმა ტენდენციამ. შეცდომებს უშვებდნენ კადრების შერჩევაში. მკაცრ ზომებს არ მიმართავდნენ სოციალისტური ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ.

ჯავის რაიონის საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში ა 9.366 ჰექტარი სათიბები, 1.488 ჰექტარი მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები, 34.467 ჰექტარი საძოვრები. მაგრამ ამ დიდ შესაძლებლობებს ვერ იყენებდნენ. [illegible] საძოვრებისათვის არ ზრუნავდნენ რაიონის სპეციალისტები. აეკუთვნებათა ხელმძღვანელები, მეცხოველეობის ფერმებს კი ხაკვები არ ჰყოფნით.

წლეულს საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით 1.626 ჰექტარზე განხორციელდა სათიბების ზედაპირული გაუმჯობესების სამუშაოები. ამის შედეგად საკვებმომპოვებლებმა ბუნებრივი სათიბებიდან ჰექტარზე 8-9 ცენტნერის ნაცვლად 14-16 ცენტნერი თივა მიიღეს, ხოლო ნათესი ბალახები ჰექტარიდან აღებულია 24-26 ცენტნერი, შარშანდელზე ორჯერ მეტი.

ვეფხი რძე, ვეფხი ხორცი!

მთიანი რაიონის მოვალეობა

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება განიხილავს მთაში მეცხოველეობის განვითარების კონკრეტულ პროგრამებს

მაგრამ ეს საქმის დასაწყისია, — აღინიშნა აქტივის კრებაზე, აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად არის შესაძლებლობა, რომ ჯავის რაიონში 1,5-2-ჯერ გაიზარდოს საკვების წარმოება. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობები აქვთ რაკისა და წონის საბჭოთა მეურნეობებს. ყურადღება გამახვილდა ამ მეურნეობებში საკვებშემამზადებელი საამქროებისა და ქარხნების მშენებლობის აუცილებლობაზე.

აქტივის კრების მონაწილენი ძალაუფლებით შეხვდნენ ცხობას, რომ საკვების წარმოების გაზიდების მიზნით უკვე შეუდგენენ სპბაჯირო გზების მშენებლობას, რაც საშუალებას იძლევა საკვები მიუდგომელი სათიბებიდან ჩამოზიდონ და უკეთ გამოიყენონ საძოვრები.

საკვების წარმოების გაზიდვების სამუალებად უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული იქნება ყველა არსებული შესაძლებლობა, რაც დიდ კაპიტალურ დაბანდებას არ მოითხოვს. ეს არის მდელოებისა და საძოვრების მოსავლიანობის გადიდება. ამ მხრივ რაიონს დიდი შესაძლებლობები აქვს და ამას ადასტურებს ერმანის სამთო-სამდელო სტაციონარის მუშაობა. აქ ჰექტარზე საშუალოდ 60-70 ცენტნერ თივას იღებენ. მათი გამოცდილება უნდა დაინერგოს რაიონის საბჭოთა მეურნეობებში.

საკვები ბაზის დიდი მარაგი საშუალებას იძლევა, აღინიშნა აქტივის კრებაზე, რომ ჯავის რაიონის მეურნეობებმა 20 ათასი მანეთი იზარალეს. ჯერ კიდევ ძალზე მაღალია ხორცის წარმოების თვითღირებულება. შარშან წონის საბჭოთა მეურნეობაში ცენტნერი ხორცის წარმოებაზე დაიხარჯა 386 მან. და 47 კაპ. გეგმა კი 196 მანეთსა და 36 კაპიკს ითვალისწინებდა. ასევე ორჯერ მეტი დაუჯდათ ხორცის წარმოება ქარაზანელებს, არც ჯავის საბჭოთა მეურნეობაში იყო უკეთესი მდგომარეობა.

ასეთ სინდისებს ის გარემოება ქმნის, რომ რაიონის პირუტყვის მესამედი ზამთრობით საზოგადოებრივი საფუძვლებზე ნაყოფიერ ადგილებზე, ანუ ბოსლებიდან 2-3 კილომეტრ მანძილზე ინახებოდა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე რაიონში სრულიად თვითდინებაზე მიუშვეს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საქმე. ხელოვნური დათესვის პუნქტები ფორმალურად არსებობენ, რის შედეგადაც მცირეა როგორც პირუტყვის საშუალო წონა, ისე მისი პროდუქტიულობა. შარშან ერთ ძროხას ჩამოწველეს მხოლოდ 893 კილოგრამი რძე. იმის საშუალება კი არის, რომ ადგილობრივი ჯიშის ძროხის წველადობა 1.400-1.600 კილოგრამამდე გაიზარდოს.

აქტივის კრებამ მიზნად დაისახა ამაღლდეს ჯოგში დედაპირუტყვის რაოდენობა, იგი სულ ცოტა 35-40 პროცენტს მაინც უნდა შეადგენდეს.

დაბალი ვეტერინარული მომსახურების გამო ხშირია პირუტყვის დაავადების შემთხვევები, განსაკუთრებით დიდ ზარალს იძლევა თურქული. ვეტსპეციალისტები და მეურნეობათა ხელმძღვანელები კი უსულგულოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, პირუტყვის დაავადების გამო კასულ ხუთწლედში იზარალეს 700-800 ათასი მანეთი.

სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მეტად დიდ ეფექტს იძლევა მეცხოველეობაში. ამ მიზნით ჯაველმა ამხანაგებმა მიზნად დაისახეს როკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობად გადაქცეიან და იქ იყოლიონ 18 ათასი სული ცხვარი, მათ შორის 10.800 სული ნერბი. მეცხვარეობა აქ უნდა განვითარდეს სამრეწველო საფუძველზე, ამის საშუალება არის და კიდეც უნდა გამოიყენონ.

სინაგურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას კი მისცემენ მეფუტკრეობა-შეთხოლების მიმართულება: ამ მიზნით ძვირფასი ანგორის ჯიშის თხის სულადობას გაზრდიან 2.000-მდე, ხოლო ფუტკრის ოჯახი იქნება 1.500.

ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში განიზრახეს ააშენონ ორი სარძიო კომპლექსი — თვითეული 500 სულისათვის. ძროხების სულადობის ჯოგში ამჟამად არსებული 24 პროცენტის ნაცვლად 30-35 პროცენტამდე გაზრდიან. წონის საბჭოთა მეურნეობაში კი სამი სარძეო კომპლექსი აშენდება.

ყველა შრომითი პროცესი ფერმებში მექანიზებული უნდა იყოს, რათა განხორციელდეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ამ საქმეში, აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა, სათანადო დახმარება უნდა გაგვიწიონ როგორც სამხრეთ ოსეთის, ისე რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა. და ბოლოს აღინიშნა რაიონში მეცხოველე კადრების ნაკლებობა, მათი მომზადების დაბალი დონე, რაც უარყოფითად მოქმედებს მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებაზე.

აქტივის კრებამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების მიზნით მიიღო რეზოლუცია, შეიმუშავა მეცხოველეობის აღმავლობის კონკრეტულ-პრაქტიკული ღონისძიებების 1976-1980 წლების გეგმა, და მიიღო მიმართვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეცხოველეებისადმი.

ჯავის რაიონის მშრომელებმა სამთო მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მეზობელი ონის რაიონის მეცხოველეები.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჯავის რაიონის მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების გზა

ბ. ანდღულაძე, ერმანის სამთო სტაციონარის გამგე:

ერმანის სამთო სტაციონარი ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ინტენსიურ ფაზაში შევიდა. ჩვენ ბევრი ვიზრუნეთ ბალახეულობის ფართობების გაზრდისა და ბალახეულობის ხარისხის ამაღლებისთვის. ამ ფართობებზე ბალახეულობა ბუნებრივ ფონზე ჰექტარზე 8-9 ცენტნერ თივას ვიღებ. ბალახეულობა ბევრ ადგილას ბალახ-ბალახ ნარევია. ეს ადგილები ბალახეულობის ხარისხის ამაღლებისთვის ბალახ-ბალახ ნარევ ადგილებად ვაქციეთ. ეს ადგილები

ფელეტონი

ოქროს თევზი და მეგადურინი

ჩვენ ნამდვილი სასწაულების დროში ვცხოვრობთ.

„ოქროს თევზი და მეგადური“ პუშკინისა რომ არის, ხაცაა დაგავიწყდება კაცს, ზღაპარი რომ არის, ისიც დაგავიწყდება, რადგან ცხადში იმდენი ოქროს თევზი და იმდენი მეგადურია, ვერ მოთვლი.

ხაქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხელ თავზე და ნამუსზე ერთდროულად ხელადებულმა კაცმა, თურმე ოქროს თევზი გამოიძახა ლიფსტატან (პირადი მდივნის) მეშვეობით და...

— ხამხახურში მოგაწყვე, მანქანა გამოგატანინე, კოოპერატივში შეგიყვანე, ხახლი აგიშენე, ახლა რაღას მთხოვ?

— ხვალ ხათეკზაოდ მივდივარ და... დინამიტი მაშოვინე.

გაგიუდება კაცი.

ან:

— ხამხახურში კი მომაწყვე, მანქანა გამომატანინე, კოოპერატივში შემიყვანე, მაგრამ...

— რა მაგრამ?...

ახეთ კაცს რომ გადაიწყდება, მოგეკიდება ცეცხლი, რაც უნდა წყალში იდგე, აბა რა ექნება! და რაც უნდა წყლით გქონდეს პირი ხავსე, პირში ეტყვი, აბა რახ ეზამ:

— შენ ძმაო, ბურში ხომ არ ზიხარ?

— რავა?

— ხულ რომ რაღაცას მთხოვ, ვერ ხედავ პროტექციონიზმზე რა ამბავია?

— ეგ ეგრე არ არიხ, ბატონო, ზღაპარში.

— ხამაგიეროდ ცხადშია ახე, ხომ ხედავ!

— მაინც რა მოხდა ასეთი?

— რახ ჰქვია რა მოხდა, ვერ ხედავ, კაცო, შენი გულიხთვის ოქროს თევზი რიგით ღორჯოდ ჩამომაქვეთეს?!

...მეგობარო, არც პუშკინის ზღაპარი იყო მთლად ზღაპარი და არც ეს ზღაპარია მთლად ცხადი, მაგრამ ეს ამბები იმიტომ გავიხ-ხენე, რომ დაახლოებით რაღაც მსგავს ფაქტზე გვექნება ლაპარაკი.

შავ ზღვაში 180 ჯიშის თევზი რომ ბინადრობს, მთელმა ქვეყანამ იცის და, რა გახაკვირია, ამდენ კეფალ-სტავრიდ-ბელამიდ-კამბალ-ბარაბულ-ქაშაყ-სკუმბრიაში ერთი ოქროს თევზიც რომ ერიოს, თუნდაც ზღაპრული! უოველ შემთხვევაში ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ნამდვილად ზღაპრულია, ოღონდ ცხადში მოხდა.

ახე და ამრიგად, მკითხველო და გამკითხველო, თუკი ის დაიჯერე, რომ ოიგითმა მეგადურმა ოქროს თევზი დაიჭირა, პატივი მოიღე და ისიც დაიჯერე — ნებიხმიერი ნომენკლატურული თევზის (თუმცა წყალში თევზი ვის შეუფახცია), თუნდაც ოქროს თევზის, დაჭერა არ გაუბირდებოდა ხაქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნოს უფროსის თუნდაც მოადგილეს ბიძინა ბიძინას-ძე კანდელაკს!

ამბობენ, სრულიად ხაქართველოს ხაზღვაო სანაოსნოს უფროსის თუნდაც მოადგილეს ოქროს თევზი კარგა ხნის დაჭერილი თუ არა, გამოჭერილი მაინც ჰყავდა და ეს ოქროთევზი მთლად უფროსის მოადგილის გულისათვის იძულებული იყო ტარაზე წასულიყო — წყალში თავით გადაშვებულიყო და ყველაფერი შეესრულებინა.

იმასაც ამბობენ, იქაც ოქროს თევზის ხელი ერია, როდესაც ბ. კანდელაკი ხელმძღვანელ ხამუშაოზე გაგზავნესო. ამასაც ხომ ფხა უნდოდაო. პარტიის აპარის ხაოლქო კომიტეტისა და ხაქართველოს სსრ საზღვაო ხანაოსნო ხამმართველოს ეს ძველი შეცდომაც ოქროს თევზის კისერზეაო. ყოველ შემთხვევაში მოვლენები შემდგომში კიდევ უფრო ზღაპრულად წარიმართა.

ერთ მშვენიერ დღეს... ქორწინების დღეზე მშვენიერი რაღა უნდა ყოფილიყო... ბიძინა ბიძინაჩმა ბევრი იფიქრა, ცოტა იფიქრა თუ ხაერთოდ არ უფიქრია, მიადგა... რა მნიშვნელობა აქვს, ზღვას მიადგა, თუ ხმელეთს, ან ის ვის რად ეკითხება, ოქროს თევზს მიადგა თუ ოქროკაცს, მიადგა, არც შტი, არც ნაკლები... ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას.

— რახ გვიბრძანებ? — ჰკითხა ოქროს თევზმა.

— ზღაპრული ბურ-მარილი უნდა გამშაშალ!

— ხად?

— ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშათა ხასადილოში...

— ?!.. რამდენი კაცისათვის?— დაიბნა ოქროს თევზი, რახ არ გაიგონებ კაცისგანო.

— 200 კაცისათვის!

— რა ამბავია?

— ქორწილია!

— მენავთობეთა ხასადილო და, ღრეობა?!.. ამას ცუდი ხუნი უდის — შეჰბედა ოქროს თევზმა.

—ნავთის ხუნმა არ შეგაწუხოს და ეგ არაფერი.

ამავე დღეს, იმავე ოქროს თევზთან, იმავე საკითხზე მოვიდნენ ცოლის ნათესავები და ცეცხლზე ნავთი გადაასხეს.

— ისეთი ბურ-მარილი უნდა გაგვიშალო, ჩიტიხ რძე არ აკლდეს!

— ხად?

— ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშათა ხასადილოში.

— ?!... რამდენი კაცისათვის?

—ისინი რამდენისთვის ზლიან?

— ორი ასეულისათვის.

— აბა რაღას კითხულობ, აქაც ორასი იყოს!

— რა ამბავია, ხომ მშვიდობაა!

— ქორწილი გვაქვს!

— ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ხასადილოში ქორწილი?!— მოყვრულად უძრახა მოყვრებს პირში ოქროს თევზმა.

ახლა კი, ხანამ ამ ქორწილის თამადა ერთი ხადღეგრძელოს უფლებას მოგვცემდეს, რომელსაც ხიამოვნებით მივუძღვნი ხაქართველოში ყველა ლამაზ ქორწილსა და ლხინს, ცოტა რამ ვთქვათ მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის რეტროსპექტული ისტორიიდან.

„ხაბჭოთა ადამიანის ხახე, მისი კომუნისტური მორალი და მსოფლმხედველობა, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხაარგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი, — ყალიბდება წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ მუდმივ უკომპრომისო ბრძოლაში“. ეს ბრძოლა ჩვენი ხახელმწიფოს დაარსების პირველი დღიდანვე დაიწყო. იმ ქარიშხლიან 1917 წელსვე, თქვენ წარმოიდგინეთ, გადაუდებელ ხაქმედ ჩაითვალა და გამოიცა დეკრეტი ჯვარისწერის ძველი რიტუალის გაუქმებისა და ხამოქალაქო ქორწინების შემოღებაზე.

...კუთხური შეზღუდულობა, კარჩაკეტილობა, პროვინციალიზმი, მეშჩანობა, ფსევდოპატრიოტიზმის მახინჯი ხახეობა ამრუდებს წარსულსაც და აწმყოსაც, მახინჯ ანაკრონიზმებამდე მიდის, რის გამოც მათთან აუცილებელია შეურიგებელი და გააზრებული ბრძოლა.

მავნე ნაციონალური ტრადიციების განდევნა და ახალი ინტერნაციონალური წესჩვეულებების დანერგვა უკეთესი მომავლის საწინდარია.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტემა ხაზგასმით აღნიშნა ხაქართველოში ამ ბოლო ხანს დაგროვილი აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის ხაგულისხმო გამოცდილებაზ, რომლის მიზანია მშრომელთა ფართო მხარდაჭერით დაძლიეულ და მთლიანად აღმოფხვრილ იქნაბ მავნე წესჩვეულებები. სწორედ ეს ამოცანა დაკისრებია ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

„იმ მიზნით, რომ ამაღლდეს ხაქართველოს ყველა კომუნისტის პირადი პასუხისმგებლობა მავნე ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ ახალი სოციალისტური ტრადიციების დანერგვისათვის ბრძოლაში, საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ პარტიულმა კომიტეტებმა განიხილონ პერსონალური საკითხი პარტიის თვითეული წევრისა, რომელმაც ჩაიდინა ამ დადგენილების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უკავია და რა დამსახურება მოუძღვის წარსულში“, — ვკითხულობთ დადგენილებაში.

ჩვენ კი ვკითხულობთ, მაგრამ ხაქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნოში თუ კითხულობენ?

მერე და ხად იყო დაწესებულების ადმინისტრაცია (უფროსი ა. კაჭარავა), პარტიული ორგანიზაცია (კომბიტის ყოფილი მდივანი ბ. მახარაძე)! ვთქვათ, კონკრეტულად, ხად იყვნენ სანაოსნოს ხამმართველოს პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ს. ტოშუა, ნავსადგურების სამხახურის უფროსი ა. ბაკში, ეკსპლოატაციის სამხახურის უფროსი ი. ბენიძე?

ხად იყვნენ? ხად და — ადგილზე! ყველა უკლებლივ ადგილზე იყო... ჰურ-მარილზე!

კარგი, ერთი მოადგილე ჯვარს იწერდა, ხაქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნოს უფროსის მეორე მოადგილე ხ. ფხაკაძე ხადღა იყო?

მან, არც ისე ხაპატიო მიზეზით, ქეიფში დაიგვიანა, როგორც სიხტემის მუშა-მოსამსახურეთა შორის ქორწილისათვის შეხაწირავის, ძველებურად რომ ვთქვათ— თავზე გადასაგდების (20-25 მან.) შეგროვების ორგანიზატორმა.

...მენავთობეთა და ქიმიკოს-პროვიზორების მუშათა სასადილოებში დიდხანს ემახსოვრებათ იმ შემწვარ-მოხრაკულების სუნი. ყანწების ტრიალსა და გამიშვი და გაგიშობში, „ხუსიე ბიძიესა“ და „განდაგანაში“ ისე აირია მონასტერი, მგონი, ერთმანეთს ვეღარ არჩევდნენ და ძველი და ახალი ტრადიციების გარჩევას ვინღა დაეძებდა. რა სოციალურ ძვრებზე შეიძლებოდა ლაპარაკი, მაყრებს ძვრას ვერ უშვებოდნენ ადგილიდან. შინწაუსვლელთა სადღეგრძელოც ბევრჯერ დაილია, ისხდნენ, ვინც ამ წრეგადასული ქეიფის დაწყება იფიქრეს და დამთავრებას აღარ ფიქრობდნენ. ყველაფერი — კაციან-ღვინიანთეფშიან-ჭიქიანად თვითდინებაზე იყო მიშვებული. არც ლამაზი ხაქორწინო რიტუალის იდეურ-მხატვრული ელემენტების ხწორ შეფარდებაზე იტეხდა თავს ვინმე, არც ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაზე, არც დისპროპორციაზე და არც ძმისპროპორციაზე!

რაღაც ხულ არ ჰგავდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნების მუშათა სასადილოებში გამართულ გრანდიოზულ ქორწილებს პირველი კომუნისტური ქორწილი საქართველოში, რომელიც მოეწყო თბილისის ტყავტრესტის წარმოებებთან არსებულ მუშათა კლუბში 1924 წელს, სადაც მექორწილეებს ხარუქრად თითო წყვილი ტუფლი გადაეცათ.

როგორც ცნობილია, ადამიანთის დროიდან ხაქორწინო ბეჭდების ქორწინებამდე რამდენიმე ხნით ადრე გაცვლა ხაწესჩვეულებო რიტუალის დღემდე უცვლელი ატრიბუტია. ხალხურმა ხიბრძნემ ეს დრო ნეფე-დედოფლს გამოსაცდელ ვადად, გადაწყვეტილების ასჯერ ასაწონ-დასაწონად და მოსაფიქრებლად მისცა.

ზემოხსენებული საარაკო ქორწილის ნეფეს კი ხაქორწინო ბეჭდის გარდა ზემდგომმა ორგანოებმა სახელმწიფო მრგვალი ბეჭედიც მისცეს, ხალხის ბედიც ჩაბარეს და თავისთავად ცხადია, ამ სიდიდრ-სიმამრისგან დალოცვილს თავისი ბედის გადაწყვეტის დროს მაინც უნდა ეფიქრა ცოტა მეტი, რომ ბედნიერების დღე ბედნიერების დღეს დამსგავსებოდა.

ბ. კანდელაკმა თავისი თანამდებობა გამოიყენა ბოროტად და სხვისას რაღა ხეირს დაიკრიდა, სხვაც შარში გახვია. მსუყე ქორწილზე, მოგეცა ლხენა, სამდღეებიც კარგი ითქვა, მაგრამ ხალხში ამ წრესგადასულმა ამბავმა ცუდი რეზონანსი გამოიწვია. ნეფე პოლიტიკურად მოუმწიფებელი აღმოჩნდა, ხელმძღვანელმა კაცმა ამხელა ქორწილში თვალსა და ხელსშუა დაკარგა ავტორიტეტი.

...და აი, მიწყდა ფელიქს მენდელსონის ხაქორწინო მარშის ბოლო აკორდები. დასახარჯი — დაიხარჯა, ხალხი — დაიკარ, ბანაწყვეტი — გაწყდა, ბანატეხი — გატეხა, შესამსახი — შეიმუსრა და ნეფე კვლავ მიადგა ზღვას.

— ახლა არ მითხრა ნაღვინევი ვარ და ბორჯომი დამალეინეო,— უმტაუნა ნერვებმა ოქროს თევზს. რომელსაც თავი ჰქონდა გაბეზრებული ათასნაირი თხოვნით...— ახლა რახ მიბრძანებ?

— შენ ქვირითს გაფიცებ, ტურიტული საგზურები უნდა მაშოვნინო. ხაქორწინო მოგზაურობაში მივდივარ კრუიზით.

— ხაით?

— დუნაიზე.

მთელ დუნაიზე ხეირნობა არ მომთხოვოს და აღარ დავეძებო,— გაიფიქრა ოქროს თევზმა და უშოვა საგზურებიც. დუნაი კი... ეს მარშრუტი ხაზღვარს გადასული ბიძინა ბიძინაჩის ხასიათში აღმოჩნდა, როგორც მოგეხსენებათ დუნაი ერთადერთი მდინარეა მსოფლიოში, რომელიც ყველაზე უფრო მეტ ხახელმწიფოს ხაზღვარს გადადის...

ახლა ისიც ვთქვათ, რომ ეს ცხადი და ის ზღაპარი ერთმანეთს, ხხვათაშორის, ფინალითაც ტუუპის ცალებივით ჰგვანან, რადგან სრულიად ხაქართველოს მეზღვაურთა და მენავეთა ერთ-ერთ უფროსს სრულიად არ ეკადრებოდა იმ ბებერი მეგადურივით დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა და ნამეტანის მონდომება.

სადაც ამდენი კაცი ჭამს პურს, იქ სამართალი პურს ვერ შეჭამს!..

ლხინი იქა, ლხინი აქა! თუმცა ყველგან ლხინი ზღაპარშიც არ გამოდის.

მეტის მეტი — რეტის რეტი! იტყვიან ჩვენში.

„პარტია არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა არც უგულებელყოფას, არც გაზვიადებას“... — გარკვევით წერია ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში.

Ო. თევზაძე.

სიმწიფის ატესტატით

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები მეათე ხუთწლედის პირველ წელს ენერგიულად შრომობენ. კოლმეურნეობამ გეგმადავალება ჯერ კიდევ აგვისტომი შეასრულა. ახლა თვითეული მათგანი ვალდებულების გადამეტებით კრეფს ჩაის ფოთოლს.

აქ ბევრი მოწინავე მეჩაიეა. მათ შორის აღსანიშნავია მეჩაიე ნონა ჯიქია, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა კოლმეურნეობაში. წლეულს მან 6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. სეზონის ბოლომდე კიდევ 800 კილოგრამს მოკრეფს.

სურათზე: მოწინავე მეჩაიე ნონა ჯიქია.

გ. გოგოხიას ფოტო.

ქართული კინოს დღეები ლიტვაში

ვილნიუსი. 25 სექტემბერი. (საკუთარი კორ. ვ. გაველენე). დღეს ვილნიუსში დაიწყო ქართული კინოს დღეები. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ პირველი საღამოს პროგრამას — მხატვრულ ფილმს „ზაფხული სოფელში“, დოკუმენტურ ფილმს „ქვარტეტს“ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს „აბრეშუმს“.

ოთხ დღეს უჩვენებენ ვილნიუსს კინოთეატრებში სტუდია „ქართული ფილმის“ უახლეს ნამუშევრებს. რესპუბლიკის საზოგადოებრიგობისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები შეხვდებიან აქ ჩამოსულ ქართველ კინომოღვაწეებს, რომლებსაც მეთაურობს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი გ. ბარათაშვილი. სტუმრები შეხვდებიან და ესაუბრებიან ვილნიუსის ვ. ი. ლენინის სახელობის გამოსათვლელი მანქანების ქარხნის მუშებს, საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტებს, ეწვევიან კაიმიაღოროს რაიონის კოლმეურნეობას.

საგასტროლოდ — ჩრდილოეთ ოსეთში

ამ ზაფხულს აფხაზეთში საგასტროლოდ იყო ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი, ამჟამად კი სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დასი საბჭოსუხო ვიზიტით ქ. ორჯონიკიძეში გაემგზავრა.

აფხაზური თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. კორტავამ გვითხრა:

— ჩვენი თეატრის მოსკოვის გასტროლების შემდეგ ეს პირველი გასვლაა ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

აფხაზური თეატრის გასტროლები ორჯონიკიძეში 22 დღე გრძელდნენ. გათვალისწინებულია საშფო სპექტაკლები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის, წარმოების მოწინავეებთან, რისთვისაც ცალკეული სპეციალური სცენცერტო პროგრამაა დაგეგმილი.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სვეტი — პრემიერით

ახალციხე. (საკ. კორ.). საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა მესხეთის სახელმწიფო თეატრმა ახალი სეზონი პრემიერით დაიწყო. ეს არის ო. ჩხეიძის ტრაგედია „გიორგი“, რომელიც დიდი თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნ. დემეტრაშვილმა.

ფიგნის თარო

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პოეტისა და დრამატურგის **ოთარ მამფორიას** რჩეული ლექსების ერთეული ერთეული (462 გვ. რედაქტორი ალ. გომბაშვილი, მხატვარი დ. ფოფდეა). წიგნში ლექსები წარმოდგენილია რამდენიმე ციკლით („ცისკრის ვარსკვლავი“ „ცისარტყელა ჩანჩქერებში“, „ფასეულყვილი ჩუქურთმები“, „ხმა მიწისა“, „შუადღის სიმღერა“). აქვე დაბეჭდილია ლირიკული პოემა ნიკოლოზ ბარათაშვილზე — „ტატო“.

ფურცლები მოგონებათა წიგნიდან

როგორც ცოცხალი

დიმიტრი შოსტაკოვიჩის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

დიმიტრი შოსტაკოვიჩზე სულ ოთხი თვით ვარ უფროსი. მაგრამ 1927 წელს, როცა ლენინგრადის კონსერვატორიაში შევედი, იგი უკვე ასპირანტი იყო. მას მაშინ დაავალეს დოკრა კონსერვატორიაში შემსვლელ კომპოზიტორთა თხზულებებ, მათ შორის ჩემი ჭაბუკური ნამუშევარი „საკონცერტო მარში“ — მი-მაჟორი! მერე მომთხოვდა და მითხრა: „მაპატიეთ, ვერ შეეამჩნიე ოთხი დიეზი“. მე გავიგე მისი ხუმრობა და მივხედი ჩემს შეცდომას კლარნეტების მიმართ. მაგრამ გამოაცა მისმა ფენომენალურმა ორიენტაციამ.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ იგი ასე შესანიშნავად ეუფლება სხვის მუსიკას. შემდგომში ბედმა, უფრო სწორად, ერთნაირი მისწრაფებებისა და ცხოვრებისა და მუსიკაზე ერთნაირმა შეხედულებებმა ახლო მეგობრები გაგვხადა და ბოლომდე მეგობრები დავრჩით. უბრალო ურთიერთობა არათუ არ მიშლიდა, არამედ ხელს უწყობდა ჩემს თაყვანისცემას შოსტაკოვიჩის შესანიშნავი ხელოვნების, მისი ნათელი გონებისა და მაღალი ადამიანური თვისებების წინაშე. და სათაკილოდ არ მიმაჩნია გავიზიარო ზოგიერთი შისთვის დამახასიათებელი ღირსება, მაგალითად, იმის უნარი, რომ აზრები და სახეები გავაშუქო მოულოდნელი კუთხიდან, მოულოდნელი ფერით, რაც სხვაგვარ წარმოდგენას აძლევდა საგნებზე.

ერთხელ დიმიტრი შოსტაკოვიჩი რამდენიმე დღეს სტუმრად იყო ჩემთან თბილისში. მაშინ მოვისმინე მისი ის-ის იყო დამთავრებული პირველი აქტი ოპერისა „ჯატერინა იზმაილოვა“. მაშინ ვერ გამოვხატე ჩემი აღტაცება, მაგრამ შემდგომში აღვნიშნე ოპერის პრინციპული მაღალი ღირსებები, როცა ამ ნაწარმოების დია განხილვის დროს მის დასაცავად 1936 წელს თბილისში გამოვქვეყნე სტატია. ეს არ ყოფილა არც ჭირობა, არც მსხვერპლი. მინდოდა მხოლოდ დამეტკიცებინა სიყვარული და ერთგულება დიდი ხელოვანისა და მეგობრისადმი.

როგორც მახსოვს, 20-იანი წლების დამლევს დ. შოსტაკოვიჩმა მუშაობა დაიწყო ლენინგრადის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში. მაშინ მუშათა ახალგაზრდული თეატრი სიმედიდით იცავდა თავის პოზიციებს ხელოვნებაში „პროლეტარული“ კრიტიკის თავდასხმებისაგან. მეც შოსტაკოვიჩის მაგალითს მივბაძე და მუსიკალურ ხელმძღვანელად დავიწყე მუშაობა თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში. ამ პერიოდში ხშირად ვხვდებოდი და მიმოწერა მქონდა შოსტაკოვიჩთან.

ჯერ კიდევ ჭაბუკურ წლებში, დ. შოსტაკოვიჩი უკვე შესანიშნავად გრძნობდა დროის მოთხოვნას და უდიდესი ენთუზიაზმით ცდილობდა ჩასწვდომოდა ჩვენი მზარდი ქვეყნის ცხოვრების ყველაზე უფაქიზეს დეტალებს. ზედიზედ სულ უფრო ღრმამენაარსიან, გაბედულ და სრულყოფილ თხზულებებს ქმნიდა, რომლებსაც ხან სევდა, ხან სიხარული მოაქონდა მისთვის. მეხუთე სიმფონიამ (ჩემი აზრით, შედევრმა) ბევრი სიხარული მიანიჭა მასაც და სხვებსაც.

ომი დამთავრდა. ყველამ იცის, რომ ტანჯვის ამ წლებმა ყველაზე მკაფიო კვალი დატოვა შოსტაკოვიჩის სიმფონიურ მუსიკაში (VII-VIII სიმფონიები). ომის შემდგომი წლები (1945-1947) ნაყოფიერი იყო ბევრი კომპოზიტორისათვის, მათ შორის ჩემთვისაც.

1946 წელს ა. ვ. გაუკთან ერთად შევასრულე ჩემი კონცერტი მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. კონცერტის შემდეგ შოსტაკოვიჩმა მომილოცა და მითხრა: „შესრულების ღირსი ნაწარმოებია!“ დღემდე მიფიქვებს — კარგი იყო თუ ცუდი ეს ნაწარმოები, კარგად დაეუკარი თუ ცუდად...

კომპოზიტორის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება იყო მისწრაფება—პატიოსნად, სამართლით და მგზნებარედ აესახა სინამდვილე, მისწრაფება — ახალ მწვერვალებზე აეყვანა სამშობლოს მუსიკალური კულტურა.

50-იან წლებში დიმიტრი შოსტაკოვიჩმა შექმნა თავისი შესანიშნავი საკიოლინო კონცერტი, შემდეგ მეათე სიმფონია, პრელუდიები და ფუგები, ცოტა მოგვიანებით კი ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — მერვე კვარტეტი. მე მოვიხსენიე შოსტაკოვიჩის მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც ყველაზე უფრო მომწონს და მიყვარს.

მე მომწონს შოსტაკოვიჩის დრამატული მუსიკა, ფიქრიანი მუსიკა და მისი ლირიკა. მისი ღიმილი თუ იუმორი მუსიკაში, ჩემი აზრით, უმეტესად სარკასტული, გესლიანი, ასე განსაჯეთ ბოროტიც კი არის, რაც რამდენადმე ეწინააღმდეგებოდა მის ნათელ სულსა და არაჩვეულებრივ სიკეთეს. მაგრამ მისი პოეტური, ხალისიანი სიფორტეპიანო კვინტეტი მკაფიოდ გამოხატავს სიკეთეს, სულიერ ამაყოფილებას და სიხარულს. ამ მუსიკის თვით შუბერტსაც შეშურდებოდა...

თუ სამართალია, დღევანდელ დღეს შოსტაკოვიჩისათვის მისალოცი დეპეშა უნდა გამეგზავნა, და რაოდენ საწყენია, რომ ამის ნაცვლად გახსენების წერილს ვწერ. თუმცა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა თავისი არსება მუსიკაო, უკვდავი მუსიკით გამოხატა, ამიტომაც როგორც ცოცხალს, ისე ვესაუბრები.

ანდრია ბალანჩივაძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ნაზი კილასონია

მამაცი და პროფესია

ვუძღვნი ქართველ მენავთობეებს

მე ვიყავ მათთან — ქართველ მენავთობეებთან, სამგორში, მარტყოფში, ლილოში, ნორიოში... ვნახე თავის პროფესიის ტრფიალი ეს ნდამიანები. მამაცები, ვაჟკაცები, მამულიშვილები, ჰეშმარიტი მამულიშვილები, მათ შორის ბევრი გმირია, — მომავლის გმირია. დრო ზეაღმართავს მათ სახელებს. ვერ დავმალავ — მიხარია, პირველმა რომ ვუძღვენი ლექსი. შემდეგში, ალბათ, ბევრი დაიწერება მათზე, დაიწერება უკეთესები.

ვინ ვინ — მოელვარე პორფირშია...
ვის გულს საალერსოს უსამებენ...
მათ აქვთ უმაღლესი პროფესია:
უბრალოდ,
ჰქვიათ
მბურღავები.
ჩვენი ტკივილების სამყოფიდან —
ჩვენი ჭრილობების მარტყოფიდან,
ჩვენი რიღო-ჭრილო ნორიოდან,
ლილოთ შემოჭრილი ბორიოდან —
იქ, ტაფობს
სისხლი რომ დასტყობია —
რითმას არ ვეკრძალვი:
ვამბობ —
ნავთობია.
ველი გადასერე გნოლიანი,
მიდი, სერი-სერად მოიარე;
მიდი, მოუსმინე ვეტერანებს,
იგრძენი, ეს უფრო მეტი არი, —
როდესაც მშობლიური ამბორით,
როდესაც კაცური ზავთით,
ისინი მკაცრად ამბობენ:
ჩვენი...
ქართული...
ნავთი...
მიდი, გარიჟრაჟის სიოში
ქუდი მოუხადე შიოშვილს,
ხელი ჩამოართვი მუხიანში
წამით შესვენებულ მუხიაშვილს.
ეს ხელკორძიანი ქართველები:
ლოდინით,
ძიებით, გათენებით.
ისინი ვით უნდა დაიმდურო —
თვით მიწამ მიანდო
საიდუმლო!
ნახტომად მოშვილდულ
ჭაბუკივით
მათ უყვართ მეშვიდე ჭაბურღილი,
ეგ ანცი, და არა დაბოღმილი
ეგ კაცი, ძმაკაცი —
ჭაბურღილი!
მაშ,
დაეძმობილე ვეტერანებს,
იგრძენ, ეს სიბრძნეზე მეტი არი:
ეს იგივ დიდგორის ომი არი,
ეს იგივ მოზარდი ლომი არი,
რომელიც მოზავთდა:
მომიარე!
მომიარე!
და გზაც ამ ალმურის სოფელშია —
იძლევი მამულო
პროფესიას?
სისხლით და იოგით გამოცდილნი,
მიდი, მიაგებე,
ივარგებენ
შენი, შენმიერით დალოცვილი
შენი მშვენიერი
გიორგები!
შენი ვახტანგებით, შენი დავითებით
აქაც გატარდები! აქაც აინთები!
...ვინ ვინ — სასახელო პორფირშია,
ვინ ვარსკვლავს გაპყურებს მანათობელს,
— იძლევი, საქართველო პროფესიას?
მამაც პროფესიას —
მენავთობეს!



ოქროს თევზი და მეგადურინი

— ხამაგიეროდ ცხადშია ახე, ხომ ხედავ!

— მაინც რა მოხდა ასეთი?

— რახ ჰქვია რა მოხდა, ვერ ხედავ, კაცო, შენი გულიხთვის ოქროს თევზი რიგით ღორჯოდ ჩამომაქვეთეს?!

...მეგობარო, არც პუშკინის ზღაპარი იყო მთლად ზღაპარი და არც ეს ზღაპარია მთლად ცხადი, მაგრამ ეს ამბები იმიტომ გავიხ-ხენე, რომ დაახლოებით რაღაც მსგავს ფაქტზე გვექნება ლაპარაკი.

შავ ზღვაში 180 ჯიშის თევზი რომ ბინადრობს, მთელმა ქვეყანამ იცის და, რა გახაკვირია, ამდენ კეფალ-სტავრიდ-ბელამიდ-კამბალ-ბარაბულ-ქაშაყ-სკუმბრიაში ერთი ოქროს თევზიც რომ ერიოს, თუნდაც ზღაპრული! ყოველ შემთხვევაში ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ნამდვილად ზღაპრულია, ოღონდ ცხადში მოხდა.

ახე და ამრიგად, მკითხველო და გამკითხველო, თუკი ის დაიჯერე, რომ ოიგითმა მეგადურმა ოქროს თევზი დაიჭირა, პატივი მოიღე და ისიც დაიჯერე — ნებიხმიერი ნომენკლატურული თევზის (თუმცა წყალში თევზი ვის შეუფახცია), თუნდაც ოქროს თევზის, დაჭერა არ გაუბირდებოდა ხაქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნოს უფროსის თუნდაც მოადგილეს ბიძინა ბიძინას-ძე კანდელაკს!

ამბობენ, სრულიად ხაქართველოს ხაზღვაო სანაოსნოს უფროსის თუნდაც მოადგილეს ოქროს თევზი კარგა ხნის დაჭერილი თუ არა, გამოჭერილი მაინც ჰყავდა და ეს ოქროთევზი მთლად უფროსის მოადგილის გულისათვის იძულებული იყო ტარაზე წასულიყო — წყალში თავით გადაშვებულიყო და ყველაფერი შეესრულებინა.

იმასაც ამბობენ, იქაც ოქროს თევზის ხელი ერია, როდესაც ბ. კანდელაკი ხელმძღვანელ ხამუშაოზე გაგზავნესო. ამასაც ხომ ფხა უნდოდაო. პარტიის აპარის ხაოლქო კომიტეტისა და ხაქართველოს სსრ საზღვაო ხანაოსნო ხამმართველოს ეს ძველი შეცდომაც ოქროს თევზის კისერზეაო. ყოველ შემთხვევაში მოვლენები შემდგომში კიდევ უფრო ზღაპრულად წარიმართა.

ერთ მშვენიერ დღეს... ქორწინების დღეზე მშვენიერი რაღა უნდა ყოფილიყო... ბიძინა ბიძინაჩმა ბევრი იფიქრა, ცოტა იფიქრა თუ ხაერთოდ არ უფიქრია, მიადგა... რა მნიშვნელობა აქვს, ზღვას მიადგა, თუ ხმელეთს, ან ის ვის რად ეკითხება, ოქროს თევზს მიადგა თუ ოქროკაცს, მიადგა, არც შტი, არც ნაკლები... ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას.

— რახ გვიბრძანებ? — ჰკითხა ოქროს თევზმა.

— ზღაპრული ბურ-მარილი უნდა გამშაშალ!

— ხად?

— ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშათა ხასადილოში...

— ?!.. რამდენი კაცისათვის?— დაიბნა ოქროს თევზი, რახ არ გაიგონებ კაცისგანო.

— 200 კაცისათვის!

— რა ამბავია?

— ქორწილია!

— მენავთობეთა ხასადილო და, ღრეობა?!.. ამას ცუდი ხუნი უდის — შეჰბედა ოქროს თევზმა.

—ნავთის ხუნმა არ შეგაწუხოს და ეგ არაფერი.

ამავე დღეს, იმავე ოქროს თევზთან, იმავე საკითხზე მოვიდნენ ცოლის ნათესავები და ცეცხლზე ნავთი გადაასხეს.

— ისეთი ბურ-მარილი უნდა გაგვიშალო, ჩიტიხ რძე არ აკლდეს!

— ხად?

— ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშათა ხასადილოში.

— ?!... რამდენი კაცისათვის?

—ისინი რამდენისთვის ზლიან?

— ორი ასეულისათვის.

— აბა რაღას კითხულობ, აქაც ორასი იყოს!

— რა ამბავია, ხომ მშვიდობაა!

— ქორწილი გვაქვს!

— ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ხასადილოში ქორწილი?!— მოყვრულად უძრახა მოყვრებს პირში ოქროს თევზმა.

ახლა კი, ხანამ ამ ქორწილის თამადა ერთი ხადღეგრძელოს უფლებას მოგვცემდეს, რომელსაც ხიამოვნებით მივუძღვნი ხაქართველოში ყველა ლამაზ ქორწილსა და ლხინს, ცოტა რამ ვთქვათ მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღ



„დინამოს“ სტადიონის ახალი სიცოცხლე

დღეს თბილისში საზეიმოდ იხსნება დიდი სპორტული ნაგებობა — 75-ათასიანი გაანახლებული სტადიონი





არც შეტი, არც ნაკლები — 9 წელიწადი, 9 სეზონი ელოდნენ მას ქართული ფეხბურთის მოყვარულები, სპეციალისტები, მწვრთნელები და, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ფეხბურთელები...

ახალი სტადიონის პროექტის შექმნა დავალებული ჰქონდათ ძველი სტადიონის პროექტის ავტორს — სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს არჩილ ჭურდიანს და მის შვილს — ახალგაზრდა არქიტექტორ გია ჭურდიანს, აგრეთვე კონსტრუქტორს შალვა გაზაშვილს. მათდასასრულოდ უნდა ითქვას, რომ მეტად საინტერესო და ორიგინალური პროექტი შექმნეს, — თბილისის „დინამოს“ სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესო და უნიკალური ნაგებობა არის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპაშიც კი.

და განა ერთი და ორი მოჭირნახულე ჰყავდა მშენებლობას, ვინც ცოდნა, სიყვარული და ენერგია არ დაიშურა ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის.

ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის „თბილმრწამშენის“ (მმართველი ვ. გოგოლაძე) მთელ კოლექტივზე, ამავე ტრესტის № 8 სამმართველოზე (უფროსი ფ. მათიაშვილი), „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა-რეკონსტრუქციის კომპლექსის ოპერატიულ შტაბზე (ხელმძღვანელი გ. დოდელია), „საქსპორტმშენის“ სამმართველოზე (უფროსი გ. კორკოტაძე), ამავე სამმართველოს № 1 კანტორის (უფროსი ო. აღსაბაძე) მუშაკებზე, სტადიონის ელექტროტაბლოების კონსტრუქტორ-მემონტაჟეებზე, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტი ი. ნიკულინი ხელმძღვანელობდა, რუსთაველ „ცენტრმეტალურგრემონტის“ სამმართველოს საამქროს (უფროსი ვ. ბოკუჩავა), ელექტრომონტაჟის სამმართველოს უბნის (უფროსი ვ. ბათბანოვი) მუშებზე, იმათზე, ვინც დაპროექტა გახმოვანება — (რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ლ. ლაცაბიძე, ულექტროქსელი — დ. ბერძნიშვილი), და ცხადია, ის მრავალრიცხოვან ენთუზიასტებზე, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდნენ. „რომელი ერთი დავასახელოთ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, ქალაქის სასწრაფო დახმარების ექიმები თუ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები, გორელი, ფოთელი, ზარაგოულელი მშრომელები, თბილისის ყველა რაიონის წარმომადგენლები...

რეპორტაჟი 69-ე რიგიდან

გვესაუბრებიან მშენებლობის შტაბის უფროსი გივი დოდელია და მთავარი არქიტექტორი გია ჭურდიანი.

სტადიონის ტრიბუნებზე კი ფუტკარივით შესულან ისინი, ვინც საბოლოო სახე უნდა მისცენ ამ შესანიშნავ სპორტულ ნაგებობას.

აი უკანასკნელი ასოც მოხატა მხატვრის ფუნჯმა იარუსებს შორის მდებარე პარაპეტზე მოთავსებულ ერთ-ერთ ლოჟონგზე. საღებავით დაიფარა სამხრეთ-დასავლეთის ტრიბუნების კუთხეში აღმართული ტრადიციული ფლაგშტოკი. ოღონდ იგი ახლა გაცილებით უფრო მაღალია — 20 მეტრი.

ავდივართ სტადიონის ყველაზე მაღალ წერტილზე — უკანასკნელ 63-მე რიგზე, იქ სადაც, როგორც ამბობენ ხოლმე, „არწივები ბუდობენ“. არწივებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მტრედების ბუდეები კი დაგვხვდა. ფრთაფარფატებს ბინა დაუდეთ „დინამოს“ სტადიონზე...

— მიაქციეთ ყურადღება, რა ციცაბოა ჩვენი სტადიონის ტრიბუნები, — გვეუბნება გია ჭურდიანი.

იგი მოგვაგონებს მეხიკოს დედაქალაქის „აცტეკას“ სტადიონს— ფეხბურთში 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ სარბიელს. ზუსტად ასეთივე ხილვადობა აქვს მექსიკის დედაქალაქის ამ სახელგანქმულ სპორტულ გიგანტსაც — ტრიბუნების ნებისმიერი წერტილიდან ერთნაირად კარგად ჩანს მწვანე მინდორი, რომელიც მაქსიმალურად არის მიახლოებული ტრიბუნებთან.

ტრიბუნები ახლა ორიარუსიანია, ერთი მეორეზე ეგრეთწოდებული ერთსაყრდენიანი პრინციპით არის დადგმული. პირველ იარუსზე 24 ათასი მაყურებელი ეტევა (რიგების რაოდენობა 14-დან 27-მდეა), მეორეზე — 51 ათასი (36 რიგი). იარუსებს ერთმანეთთან 30 ფართო, მოხერხებული კიბე აკავშირებს. ამის გარდა, 29 კიბით შეიძლება შემოსვლა სტადიონის ტერიტორიიდან პირველ იარუსზე. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა სულ რამდენიმე წუთში დაცარიელდეს ტრიბუნები.

„დინამოს“ სტადიონის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა რკინაბეტონის კონსოლური (ერთსაყრდენიანი) კონსტრუქციის 31 მეტრი სიგანის საფარი, რომელიც ტრიბუნების დაახლოებით ორ მესამედს, ანუ 50 ათასს მაყურებელს იცავს მზისა და წვიმისაგან.

ახალი სტადიონის დამპროექტებლებმა უარი თქვეს მინდვრის განათებაზე ანძების საშუალებით. პროექტორები ახლა საფარზეა მოთავსებული ოთხივე მხარეს. თვითეულში 120 ნათურაა დამონტაჟებული და ერთდროულად იძლევა 1.000-მდე ლუქსის ოდენობის შუქის ძალას. შედარებისათვის ვიტყვით, რომ ლუჟნიკის სტადიონზე სულ 450 ლუქსია.

ქვიბის ღირსნი არიან რადიოგახმოვანების დამპროექტებლებიც. თანამედროვე ტიპის უნგრული რადიოდინამიკები, სხვა სტადიონების მსგავსად, ანძებზე ან მინდვრის ირგვლივ კი არ არის მოთავსებული, არამედ ჩამოკიდებულია კონსოლებზე. ისინი ისეთნაირად მიმართეს, რომ ხმა ერთნაირად ვრცელდება სტადიონის ყველა კუთხეში. ერთი სიტყვით, 58 რადიორეპროდუქტორი საუკეთესო ხმას გამოსცემს და გარკვეულ სტერეოეფექტს ჰქმნის.

„დინამოს“ სტადიონზე მოსულთ დღეს ორი უზარმაზარი ელექტროტაბლო დახვდებათ. ტაბლოს უჯრედებისა და ნათურების რაოდენობა, რომელიც აგრეთვე აღემატება ქვეყნის მთავარი სტადიონის ელექტროტაბლოს. იძლევა წარწერების მთელი რიგი ვარიაციების საშუალებას. ამასთან ჩვენი ტაბლო სამენოვანია, „წერა-კითხვა“ სამ ენაზე „იცის“ — ქართულზე, რუსულზე და ინგლისურზე.

ასე იწყებოდა...

ჩვენს სარედაქციო არქივში ინახება უცნობი ავტორის ერთი უნიკალური ფოტოსურათი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს — „აი რა იყო „დინამოს“ სტადიონის ადგილზე“.

ეს სურათი ვაჩვენეთ და კომენტარი ვთხოვეთ ძველ ფიზიკულტურულ მუშაკს, პერსონალურ პენსიონერს, 77 წლის ვალენტინ ნიკოლოზის-ძე ხუმარიოს.

„აი რა გვიამბო ვეტერანმა — დინამოელმა:

თბილისს „დინამოს“ სტადიონი, რომელიც ოციან წლებში პლეხანოვის პროსპექტზე კინოთეატრ „პპოლოს“ (ახლანდელი „ოქტომბერი“) გვერდით მდებარეობდა, უკვე არ აკმაყოფილებდა ჩვენს ქალაქს.

იმ დროისათვის ფეხბურთი თანდათან პოპულარული ხდებოდა. „ბურთაობაზე“ ახლა მოდიოდნენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ხანშიშესულნი და ქალებიც კი, ხოლო თბილისის „დინამოს“ გუნდი უკვე საკავშირო სარბიელზე გადიოდა.

როცა ზემდგომმა ორგანოებმა დაიყენეს საკითხი — შეირჩეს ადგილი სტადიონისათვის შეიქმნა კომისია სამი კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ ივანე კიკნაძე (რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე), სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ტექნიკური მდივანი ნიკოლოზ ბლანკანი და მე — „დინამოს“ სპორტულ თამაშობათა სექციის თავმჯდომარე. თითქმის ორი თვე ვეძებდით შესაფერის ადგილს. პირობა ასეთი იყო—იგი უნდა ყოფილიყო თავისუფალი შენობებისაგან და სხვა დიდი ნაგებობებისაგან, სწორი ზედაპირისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ქალაქის ცენტრთან ახლოს.

ასეთ ადგილს მივაკვლიეთ დიდუბეში „მუშტაიდის“ ბაღის გვერდით.

აი სწორედ ეს ადგილია გადაღებული ამ სურათზე, რომელიც იღლად შემოუნახავს მზრუნველ ხელს. დააკვირდით: თითქმის ცარიელი, სწორი ადგილი, რომელიც ეკლიანი ბუჩქნარით არის დაფარული, აქა-იქ ახლო მაცხოვრებელთა რამდენიმე ბოსტანიც იყო. სურათის სიღრმეში კარგად ჩანს ფიცრულები, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნოდათ. აი ყოველივე, რაც ამ ფოტოდოკუმენტმა გამახსენა. დავუმატებ ამას, რომ მაშინ ჩვენი წინადადება ქალაქის საბჭოს წარვუდგინეთ. გადაწყდა „დინამოს“ ახალი სტადიონის მშენებლობა 15-20 ათასი მაყურებლისათვის. მაშინ ვფიქრობდით, რომ ფეხბურთზე მეტი არც მოვიდოდა. პროექტის შედგენა დაევალა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ ნიჭიერ არქიტექტორს არჩილ ჭურდიანს...



სურათებზე: ზემოთ — თბილისის „დინამოს“ ახალი სტადიონის მთავარი შესახვლელი; შუაში — ელექტროტაბლო პირველი წარწერის მოლოდინში; ქვემოთ— ფოტო სარედაქციო არქივიდან: აი რა იყო „დინამოს“ სტადიონის ადგილზე.

ხ. კილაძის ფოტოები.

სპორტის ამბები

ფეხბურთი

ფრე მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „სპარტაკი“ და თბილისს „დინამო“.

ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე (ქორიძე), დარასელია (ძებისაშვილი), უიფიანი, კობალეიშვილი.

სამი მატჩი

გუშინ კიევში, მინსკსა და დონეცკში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის კიდევ სამი მატჩი. აი მათი შედეგები:

„შახტიორი“ — „დინამო“ ბ. — 0:1.
„დინამო“ კ. — „პრომინი“ — 3:2
„დინამო“ მნ. — „დნეპრი“ — 2:0

დღეს გაიმართება ამ ტურის უკანასკნელი ოთხი შეხვედრა: „ჩერნომორეცი“-„ზენიტი“; „ზარია“-„ცსკა“; „კრილია სოვეტოვი“-„კარპატი“; „ლოკომოტივი“-„ტორპედო“.

საფეხბურთო ტელეკრანი

დღეს დიდი სპორტული ზეიმია არა მარტო თბილისს „დინამოს“ სტადიონზე მოსულ გულშემტკივართათვის, ფეხბურთის მოყვარულთათვის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ყველა ტელემაყურებელთათვისაც.

ცისფერი ეკრანი მათ სთავაზობს ერთბაშად ოთხ საინტერესო გადაცემას.

მთავარი მთავანია ორსაათნახევრიანი **რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ ახალი სტადიონის საზეიმო გახსნიდან,** რომელიც დაიწყება **17 საათზე.**

12 საათსა და 05 წუთზე ნაჩვენები იქნება დოკუმენტური **ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“,** ხოლო **13 საათსა და 30 წუთზე** — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი **„ექიმი მიდის ფეხბურთზე“.**

ტაშკენტში 1964 წლის 18 ნოემბერს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის სსრ კავშირის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად გადამწყვეტი ორთაბრძოლის ფრაგმენტები შეგიძლიათ ნახოთ **14 საათსა და 20 წუთიდან** დოკუმენტური **ფილმის „ოქროს მატჩის“** დემონსტრაციისას.

თანამედროვე ხუთჭიდი

მსოფლიოს ჩემპიონები

პოლონეთის ქალაქ ზელენაგურაში დამთავრდა მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში იუნიორთა შორის.

საბჭოთა სპორტსმენებმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს — 15.582 ქულა. მეორე ადგილზეა გფრ-ის —15.366 ქულა, მესამეზე — უნგრეთის გუნდი — 15.336 ქულა.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა წინა ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა, უნგრელმა ლაიოშ დობმა — 5.342 ქულა.

ეს საინტერესოა

ლავანდის ყვავილებისაგან

ლავანდი — ცხელი ქვეყნების ბინადარი მარადმწვანე მრავალწლოვანი მცენარეა, რომელმაც მეორე სამშობლო პოვა საქართველოში. იგი კარგად შეეგუა რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილის პირობებს. თელავის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანაში ლავანდს გამოყოფილი აქვს 6 ჰექტარი.

ველური ლავანდი გვხვდება საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. სამრეწველო მიზნისათვის იგი მოპყავთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და არგენტინაში. საბჭოთა კავშირში ლავანდს აშენებენ უკრაინისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკებში, აგრეთვე კრასნოდარის მხარეში.

ლავანდი ჭირვეული არ არის. იგი კარგად ვითარდება მშრალ მთიან ადგილებში, კირიან ნიადაგზე და შესანიშნავად იტანს ზამთარში მინუს 25-30 გრადუს ტემპერატურას. მცენარე მრავლდება კალმითა და თესლით. პლანტაციას აშენებენ შემოდგომაზე, თვითეულ ჰექტარზე რგავენ დაახლოებით 10 ათას ძირს. ლავანდის ყვავილებს კრეფენ სექტემბერში, ზრდის ეტაპი დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს. კრეფა წარმოებს დილიდან, ლამის აორთქლების შემდეგ. ამ დროს ყვავილი მდიდარია ზეთით, მაგრამ ნაშუადღევს, როცა მზე აცხუნებს, ზეთის შემცველობა მკვეთრად მცირდება.

ლავანდის ზეთი განთქმულია თავისი სამკურნალო და საპარფიუმერიო თვისებებით. მას იყენებენ ნერვული დაავადებებისა და ჭრილობების სამკურნალოდ. სურნელებისათვის უმატებენ აბაზანის წყალს.

ლავანდის ზეთს ფართოდ იყენებენ საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ მრეწველობაში. მისგან ამზადებენ სუნამოებს, ოდეკოლონებს, მალამოებს, საპონს, ტუალეტის წყალს. მისი ზეთი მშვენიერი სადეზინფექციო საშუალებაცაა, იცავს ტანსაცმელს ჩრჩილისაგან.

წელს თელავის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა გამოიმუშავებს 45 კილოგრამ ლავანდის ზეთს და პროდუქციის ნაწილს გაუგზავნის მოსკოვის საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ ფაბრიკას „სვობოდას“. (საქინფორმის კორ.).

პოლონეთი ფოტოსურათებში

გათუმი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიხსნა ფოტოგამოფენა დეკემბერთ: „ჩვენი მეგობარი პოლონეთი — ტურიზმის ქვეყანა“. გამოფენა მოაწყვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უცხოეთის ტურიზმის სამმართველომ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის მთავარმა კომიტეტმა და „ინტურისტის“ ბათუმის განყოფილებამ.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში „ინტურისტის“ ბათუმის განყოფილების მმართველმა რ. გორგილაძემ თქვა: „გამოფენის მიზანია ხელი შეუწყოს ტურისტების გაცვლას სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის, უკეთ გააცნოს აჭარელ მშრომელებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, მისი ღირსშესანიშნაობანი.

პირველ დღეს გამოფენაზე აჭარის დედაქალაქის ათასობით სტუმარი და ბათუმელი იყო.

ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

მსხვერპლი დაუდევრობით

სოხუმი. (საკ. კორ.). თბილისის გზატკეცილზე შუადღისას ერთმანეთს დაეჯახა ორი ავტომანქანა — თვითმცლელი და „ვოლგა“ „გაზ-24“. მანქანები ეკუთვნით სოხუმის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ტურისტულ ბაზა „სოხუმს“.

ავარიის შედეგად „ვოლგის“ მძღოლი ლ. კვიწინია და ერთი მგზავრი აგდილზეევე დაიღუპნენ, ორი კი მძიმედ დაშავდა.

რატომ უნდა მომხდარიყო ავტოავარია ასეთ კარგ გზაზე, საუკეთესო ხილვადობის დროს?

სამწუხაროდ, საბედისწერო შეხვედვა დაუდევრობის შედეგად მოხდა. „ვოლგის“ მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით მიაქროლებდა მანქანას და უგულებელყოფდა გზებზე მოძრაობის წესებს. გასწრების დროს; სამანადო სიფრთხილე არ გამოიჩინა თვითმცლელის მძღოლმა დ. გეორგელიძემაც. ორივე მძღოლს რომ მტკიცედ დაეცვა საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნები, ასეთი უბედურება არ მოხდებოდა.

როგორ იკვებებოდნენ ძველად...

სხვა გაზეთებიდან

თურმე ცუდად! ყოველ შემთხვევაში, ასეთ დასკვნამდე მისულა პარიზის ჟურნალი „რევიუ“, რომელმაც 1914 წლის ივნისში გამოაქვეყნა წერილი „ვიკვებებით თუ არა ჩვენს წინაპრებზე უკეთ?“. აი რას კვითხულობთ აქ:

„ჩვენი წინაპრების ჭამა-სმის შემორჩენილ აღწერათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათთვის მთავარი ყოფილა მხოლოდ მუცლის ამოყორება, ჩვენ კი ვიკვებებით ხოლმე: ეს არის ჩვენი პირველი უპირატესობა მათთან შედარებით. XIX საუკუნის დამდეგს შაქარი ისე ძვირი იყო, რომ მას მხოლოდ აფთიაქებში ყიდდნენ. მხოლოდ ძალიან მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ თავიანთი შეჭამადი სანელებლით შეეკაზმათ: მარილზე დაწესებული ბეგარა ჩვენთვის წარმოუდგენელ ფასს ადებდა მას. დაფქვის უკიდურესად პრიმიტიული ხერხების გამო ჩვენი წინაპრები ისეთ პურს ჭამდნენ, რომ დღეს იგი უეჭველად ყელში გაგვეჩხირებოდა. კარი კარაქი და კარგი რძე მიუწვდომელი ფუფუნება გახლდათ საშუალო შეძლების ადამიანებისათვის. ხორციც კი უარესი იყო, ვიდრე ახლა. ნეტარხსენებული წარსულის უსიერი ტყეები, რომლებსაც არ აჩანაგებდა ექსპლოატაციის დღევანდელი მტაცებლური ხერხები, და მწვავედ მობინინე მდელოები თითქოსდა ნამდვილი სამოთხე უნდა ყოფილიყო ნახირისათვის. სინამდვილეში კი მაშინდელი მეცხოველეობის დაბალი დონის გამო საქონელი არ სუქდებოდა და ხორციც მაინცდამაინც კარგი გემოთი არ გამოირჩეოდა.

ეს სია, — წერდა ჟურნალი, — შეგვიძლია უსასრულოდ გაგვიგრძელებინა. შამპანიონები, მაგალითად, პირველად XIX საუკუნეში გამოიყენეს. ხოლო ქაშაყის დამარილება მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულს დაიწყეს.

ჩვენი დროის უდავო უპირატესობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჭამის სიფაქიზე, რასაც წარსული საუკუნეების მონარჩენი და დიდებულებიც კი ვერ დაიკვეხნიდნენ. ლუდოვიკო XIV-ის კარზე, რომელიც მთელ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროზე ქცევის არისტოკრატიული სინატიფის სკოლად ითვლებოდა, დიდებულები და თვით მშვენიერი „მეფემზეც“ კი, როგორც ამ ლუდოვიკოს ეძახდნენ, ხორცს ხელით გლეჯდნენ და მოუთუნავი ჭურჭლიდან ჭამდნენ. დანა-ჩანგალი საფრანგეთის მეფისკარზე მხოლოდ ლუდოვიკო XVI-ის დროს შემოვიდა ხმარებაში“...

„ლიტერატურნაია როსია“.

ეს ალპებში დაიწყო

იაპონელი რეჟისორის კენგო ფურუსავას ფილმი „ეს ალპებში დაიწყო“ ჭაბუკი არქიტექტორისა და სპორტსმენის — იუჩის და მომხიბლავ იაპონელ გოგონა სუმიკოს სიყვარულზე მოგვითხრობს.

სუმიკომ და იუჩიმ ალპებში გაიცნეს ერთმანეთი. შემდეგ ბედმა ისინი ვენაში, მერე კი რომში შეახვედრა. სუმიკო იუჩის გულისთვის ტოკიოში გადმოდის სამუშაოდ. თითქოს ახლა შეუვარებულებს აღარაფერი ეღობებათ წინ,

როლებს ასრულებენ: იუძო კაიამა, იურიკო ჰოსი, კენიმ ტანაკა...

„ტიხო“ იაპონია.

კაცობრიობის დედა

ბრალებს სოფელი. ფაშისტები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან მშვიდობიან მოსახლეობას. უკაცრიელ სოფელს, იავარქმნილ ოჯახს უბრუნდება ჩამოცლილი, განაწამები მარია.

სცენარის ავტორები არიან ლეონიდ ნეხოროშევი და ლეონიდ გოლოვნია.

რეჟისორია ლეონიდ გოლოვნია.

მთავარ როლს თამარ სიომინა ასრულებს.

„მოსფილმი“.

სამი საიდუმლო წერილი

რუმინელი რეჟისორი ვირჯილ კალოტეასუ თავის შემოქმედებაში თანამედროვე პრობლემებს იხილავს.

ფილმი „სამი საიდუმლო წერილი“ მოგვითხრობს ერთ-ერთი ქარხნის მთავარ ინჟინერზე, რომელიც პატივმოყვარეობის და ცრუ სიამაყის გამო მუშათა მთელ კოლექტივს დაუპირისპირდა.

როლებს ასრულებენ კ. კომანი, მ. ალბოულესკუ, ნ. პენესკუ და სხვანი.

„ბუქარესტი“ რუმინეთი.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

გულშემატკივარი მსახვრის ღიმილი



ლოკომოტივიდან გადმოსვლა
ბ. ლომიძის ნახატი

პირველი გოლი
გ. ფირცხალავას ნახატი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

26 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.30 — „მადვიძარა“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00—„შევისწავლოთ რუსული ენა“, 14.45—„ცეროდენას ეკრანი“ (ქართული ენაზე), 12.05—ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“, 12.25 — „საპადიაკო სკოლა“, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ექიმი მიდის ფეხბურთზე“, 13.50 — „კინოადაფა“, 14.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოქროს მატჩი“, 15.05 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საპოვნელა“, 15.35 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.50 — ნახატი ფილმი, 17.00 — თბილისის „დინამოს“ სტადიონის საზეიმო გახსნა — ტელერეპორტაჟი, 19.30—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 20.00 — კონცერტი, 20.30—„მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „დღის მანქანთმშენებლის დღეა“ სტუდიაშია სსრ კავშირის დაზგათსაშენებელი და ინსტრუმენტული მრეწველობის მინისტრი ანმ. ა. კოსტროუსოვი (ვიდეოჩანაწერი), 21.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „ბალეტის საღამო“.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 19.05 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ VI სერია—ფერადი გამოსახულებით, 20.25 — კონცერტი.

რადიო

27 სექტემბერი

პირველი პროგრამით

08.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.05 — ს. ცინცაძე — პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 11.45 — რადიონარკვევი „მოაზროვნე მანქანები“ — წარმოებაში, 12.25 — „ოქროა უპირველეს ყოვლისა“ — მ. მაჭავარიანის ლექსები, 12.30 — ქართველ კომპოზიტორთა საგიოლინჩელო პიესები, 12.45 — მღერის ანსამბლი „ეორდელა“, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ჰ. ვაგნერი — სუიტა — ბალეტიდან „სინათლე და ჩრდილები“, 14.00 —„ლიტერატურული კითხვა“ ლ. ავალიანი. „ახალი ჰორიზონტი“. რომანი, 17.15—მოსწავლეთათვის— რადიოდადგმა „იავნანამ რა ჰქმნა!?“, 18.10 — ქართული კამერული მუსიკა, 19.00 — საუბარი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის რეზერვები“, 19.15 — მღერის ჭ. მახარაძის ვოკალური ანსამბლი „იადონი“. 23.30 — ა. მაჭავარიანი — ნაწყვეტები ბალეტ „ოტელოდან“.

თეატრები

26 სექტემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ქეთო და კოტე** (დღისით, მე-9 აბონ. მე-7 წარმ.); **რომანიკული სურათები** (საღამოს, მე-4 აბონ. მე-7 წარმ.); **შოთა რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **საბრალდებო დასკვნა** (დღისით), **გუშინდელნი** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სისხლიანი ბორწილი** (დღისით და საღამოს).

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

აკაკი წერეთლის პროსპექტი, 2.

29 სექტემბერს

ფეხბურთი

თასების მფლობელთა თასზე

„დინამო“ (თბილისი) — „კარდიფ-სიტი“ (კარდიფი, უელსი).

დასაწყისი 19 საათზე

ბილეთები დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაიყიდება 27-28 სექტემბერს 11 საათიდან, 27 სექტემბერს № 1 და № 2 სალაროებში 12 საათიდან, მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე, ბილეთების საერთო გაყიდვა იწყობოს 29 სექტემბერს დილის 10 საათიდან.

კომუნისტი 380098 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЕ 05971 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ჩვენი მისამართი და ტელეფონები